ფინანსური აუდიტის მომსახურების შესყიდვაზე

სს მისო ინტელექსპრესი საქართველოში აცხადებს ტენდერს **ფინანსური აუდიტის მომსახურების** შესყიდვაზე. ინტელიექსპრესი წარმოადგენს პირველ ქართულ ფულადი გზავნილების სისტემას, რომელიც ლიცენზირებულია ევროკავშირის ქვეყნებში, საქართველოსა და უკრაინაში. კომპანია 2006 წელს დაარსდა საქართველოში, საიდანაც დაიწყო მისი განვითარება და დღეს ის 25 ფილიალითაა წარმოდგენილი. მისი მომსახურება ხელმისაწვდომია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია, როგორც საკუთარი ქსელის,ასევე პარტნიორი ბანკების და პარტნიორი სისტემების მეშვეობით.

კომპანია წარმოადგენს **საზოგადოებრივი დაინტერესების პირს** და საქმიანობას ახორციელებს **საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის ქვეშ**.

1. ტენდერის მიზანი

ტენდერის მიზანია დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის შერჩევა, რომელიც განახორციელებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს 2025/26 წლისთვის **საერთაშორისო აუდიტის სტანდარტების (ISA)**, **ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS)** და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მომსახურება გაწეულ უნდა იქნას და აუდიტის დასკვნა წარმოდგენილი შესაბამისად არაუგვიანეს 2026/27 წლის 10 ივნისისა

2. აუდიტის მოცულობა

აუდიტორული მომსახურება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;
- აუდიტორული დასკვნის მომზადება საერთაშორისო აუდიტის სტანდარტების შესაბამისად;
- მენეჯმენტისთვის წერილის (Management Letter) მომზადება;
- საჭიროების შემთხვევაში – მარეგულირებელ ორგანოებთან კომუნიკაციაში მონაწილეობა აუდიტის ფარგლებში.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ

ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვს აუდიტორულ ფირმას, რომელიც:

1. რეგისტრირებულია **აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეესტრში**;
2. ფლობს **საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (სდპ) აუდიტის ჩატარების უფლებას**;
3. აკმაყოფილებს **დამოუკიდებლობისა და ეთიკის მოთხოვნებს**;
4. გააჩნია შესაბამისი გამოცდილება ფინანსური სექტორის (მისო, ბანკები) აუდიტში;
5. ფინანსური აუდიტის გუნდში ჩართავს მინიმუმ ერთ აუდიტორს, რომელიც არის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის წევრი(ACCA) და აქვს ფინანსური ინსტიტუტების აუდიტის მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება

6. დასაქმებული უნდა ჰყავდეს არანაკლებ ორი აუდიტორი - გარიგების პარტნიორი
7. აუდიტორული მომსახურების სფეროში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 35 თანამშრომელს
8. პრეტედენტი უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო აუდიტორული ფირმების გლობალური ქსელის წევრს და უნდა შედიოდეს სდპ აუდიტორთა ათეულში
9. არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში დამკვეთთან.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ:

- კომპანიის ზოგადი ინფორმაცია და გამოცდილება;
- რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და სდპ-ის აუდიტის უფლების მტკიცებულება;
- სათაო ოფისის მიერ გაცემული წერილი/დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ვებ გვერდის ან სხვა ინტერნეტ წყაროსი, რითაც დასტურდება რომ კომპანია არის საერთაშორისო აუდიტრული ფირმების გლობალური ქსელის წევრი
- პასუხისმგებელი აუდიტორისა და გუნდის CV-ები;
- დამოუკიდებლობის დადასტურება;
- კომერციული წინადადება (ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით);
- აუდიტის ჩატარების გეგმა/მეთოდოლოგია.(სამუშაო გრაფიკი და ვადები)

5. წინადადებების შეფასების კრიტერიუმები

წარმოდგენილი წინადადებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- აუდიტორული ფირმის გამოცდილება და პროფესიული კვალიფიკაცია;
- აუდიტის მეთოდოლოგია და სამუშაო გეგმა;
- შემოთავაზებული გუნდის კომპეტენცია;
- ფასის გონივრულობა;
- შესაბამისობა მარეგულირებელ მოთხოვნებთან.

6. ტენდერის ჩატარების პირობები და დამკვეთის უფლებები

დამკვეთი მოქმედებს გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერებისა და მარეგულირებელი მოთხოვნების სრული დაცვით და ამავდროულად იტოვებს უფლებას:

1. **არ აირჩიოს არცერთი პრეტენდენტი**, თუ წარმოდგენილი წინადადებები არ დააკმაყოფილებს ტენდერისმოთხოვნებს ან კომპანიის ინტერესებს;
2. **შეწყვიტოს ან გააუქმოს ტენდერის პროცესი ნებისმიერ ეტაპზე**, კომპანიის შიდა პოლიტიკის, მარეგულირებელი მოთხოვნების ან ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით;
3. უარი თქვას ხელშეკრულების გაფორმებაზე გამარჯვებულ პრეტენდენტთან, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების გაფორმებამდე გამოვლინდება გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის ინტერესებზე ან მარეგულირებელ შესაბამისობაზე.

აღნიშნული უფლებების გამოყენება არ წარმოშობს პრეტენდენტების მიმართ კომპენსაციის ან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

7. კონფიდენციალურობა

ტენდერის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია განიხილება კონფიდენციალურად და გამოყენებული იქნება მხოლოდ ტენდერის მიზნებისათვის.

ტენდერის ვადა განისაზღვრება **15.01.2026 18:00 საათამდე.**

დამატებითი ინფორმაციისთვის
საკონტაქტო პირია: გვანცა ნოზაძე
ტელ: +995 32 3 49 25 25
მობ: +995 551 30 14 41
ელ-ფოსტა:g.nozadze@intelexpress.ge